# დირექტორთა პასუხისმგებლობის საკითხი საწარმოთა დაუფლების დროს

ცირა ზერაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის კერძო (ბიზნესს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სამაგისტრო ნაშრომი

სამართლის სკოლა, კერძო (ბიზნესს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით მაისურაძე, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

**თბილისი, 2021**

„ როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

ცირა ბერაძე

თარიღი: 05.07.2021

## აბსტრაქტი

საქართველოში სამეწარმეო სამართალი განვითარების ახალ ეტაპზეა, შესაბამისად ასეთ დროს ყველაზე მნიშვნელოვანია კანონის სწორად განმარტება და მისი განვითარება შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე. სამეწარმეო სამართალი და მასში შემავალი იურიდიული პირები მისი შინაარსიდან და ორგანიზაცულ-სამართლებრივი ფორმიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი სუბიექტები არიან ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისთვის შესაბამისად მნიშვნელოვანია დაცული იყოს მათი უფლებები და არ მოხდეს მესამე პირების, დირექტორების, პარნიტნიორების თუ აქციონერების მხრიდან არამართლზომიერი კონტროლის მოპოვება ან უფლების შეზღუდვა.

ნაშრომში წარმოდგენილია დაუფლებასთან დაკავშირებული რეგულაციები შედარებით-სამართლებრივ ჭრილში, რომელიც დარეგულირებულია რეორგანიზაციის ერთ-ერთი სახის შეძენის/შერწყმის ფარგლებში. იმისთვის,რომ მცირე საწარმოებმა განახორციელონ მათი საქმიანობა, მნიშვნელოვანია არ მოხდეს დომინანტი კორპორაციების მიერ მათი უფლებამოსილებების ბოროტად გამოყენება.

საწარმოს დაუფლების დროს მნიშვნელოვანი, როლი აკისრია დირექტორს, როგორც მენეჯერს რადგან სწორედ ეს არის უფლებამოსილი პირი, რომელიც განიხილავს შემოთავაზებას და შემდეგ მისი მოსაზრებების ფარგლებში წარუდგენს აქციონერებს წინადადებას, შესაბამისად ნაშრომში წარმოდგენილია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ იღებს გადაწყვეტილებას, რომელ ორგანოს გადაწყვეტილებას აქვს დომინანტი ძალა და როგორ რეგულირდება დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი საწარმოს დაუფლების დროს.

კვლევა ძირითად განხორციელდა შედარებით სამართლებრივი ანალიზის ფარგლებში, გამოვიყენე დელავერის სასამართლო პრაქტიკა, რომელიც აღნიშნული საკითხის ირგვლივ გადაწყვეტილების სიმრავლით გამოირჩევა და აწესებს მნიშვნელოვან პრაქტიკას.

ნაშრომში ასევე განხილულია მმართველობის სახეები და გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტები ერთსაფეხურიანი, ორსაფეხურიან და შერეული მმართველობის ფარგლებში.

საძიებო სიტყვები: კორპორაცია, დაუფლება, შეძენა, შერწყმა, რეორგანიზაცია, დირექტორი, პასუხისმგებლობა.

# Abstract

Entrepreneurial law in Georgia is at a new stage of development, therefore the most important thing at such times is the correct interpretation of the law and its development based on comparative-legal analysis. Entrepreneurial law and its legal entities, due to its content and organizational-legal form, are important subjects for the development of the country's economy, therefore it is important to protect their rights and not to gain unlawful control or restriction of rights by third parties, directors, partners or shareholders.

The paper presents the regulations related to the acquisition in a comparative-legal context, which is regulated within the framework of one of the types of acquisition / merger of the reorganization. In order for small enterprises to carry out their activities, it is important not to be abused by dominant corporations.

An important role in the acquisition of the enterprise is the role of the director as a manager because it is the authorized person who reviews the proposal and then submits the proposal to the shareholders within his opinion, therefore the paper provides information on who makes the decision, which body has the dominant power and how The issue of the director's responsibility during the acquisition of the enterprise is regulated.

The research was mainly carried out within the framework of a comparative legal analysis, I used the Delaware case law, which is distinguished by the abundance of decisions on this issue and imposes important practices.

The paper also discusses the types of governance and decision-makers within one-tier, two-tier and mixed governance.



**Search Keywords: corporation, mastery, acquisition, merger, reorganization, director, responsibility.**